



ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

საიდენტიფიკაციო კოდი: 427721245

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის





ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

შესავალი

1. 2018 წლის დასრულებული საქმიანობის შედეგები
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წელი
3. 2018 წლის ფულის ნაკადების ანგარიშგება
4. ზომიერი კატეგორია
5. განმარტებითი შენიშვნები



3-2



ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

2018 წლის დასრულებული საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2018	2017
ამონაგები -	1 789 688	1 458 120
საქონლის გაყიდვიდან -	1 789 688	1 458 120
საწყისი მარაგები -	146 739	0
მარაგების შესყიდვა -	1 308 641	0
გადამუშავების დანახარჯები -	607 618	0
საერთო მოგება -	1 789 688	1 458 120
დასაქმებულთა ანაზღაურება -	164 392	164 392
ცვეთა ამორტიზაცია -	240 394	240 394
იჯარის ხარჯი -	129 169	129 169
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯი -	593 117	0
სულ საოპერაციო ხარჯი -	1 127 072	533 955
საოპერაციო მოგება -	662 161	924 165
მარაგები -	1 351 804	0
მოგება (ზარალი) გადასახადის ხარჯამდე		
განგრძობითი ოპერაციებიდან -	2 014 420	924 165
გაუნაწილებელი მოგება -	2 289 144	664 565
კაპიტალის სხვა ცვლილება -	4 106 484	924 165
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	664 565	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს -	861 645	664 565

ხელმოწერა

1. შპს „4ბროს“-ის დირექტორი გიორგი გელაშვილი

2. შპს „4ბროს“-ის მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე





ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2018 წელი

აქტივები	31.12.2018	31.12.2017
მიმდინარე აქტივები ფული და ფულის ექვივალენტი	7 605	4500
მარაგები	210 658	146 739
მზა პროდუქცია	27 376	30 134
სხვა	183 282	116 605
გრძელვადიანი აქტივები, ძირითადი საშუალებები	1 769 706	1 392 748
სულ აქტივები	1 987 969	1 543 987
ვალდებულებები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4 500	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1 121 824	879 422
სულ ვალდებულებები	1 126 324	879 422
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	861 645	664 565
სულ საკუთარი კაპიტალი	861 645	664 565
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 987 969	1 543 987

ხელმოწერა 1. შპს „4ბროს“-ის დირექტორი გიორგი გელაშვილი

2. შპს „4ბროს“-ის მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე





ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

2019 წლის ფულის ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	2018	2017
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან -	1 789 688	0
წმინდა ფულადი სახსრების შემცირება: -	1 786 583	4500
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ევივალენტებში	3 105	4500
სავალუტო კურსის ეფექტი -	0	0
ფულის ექვივალენტი წლის დასაწყისში -	4 500	0
წლის ბოლოს -	7 605	4500

ხელმოწერა 1. შპს „4ბროს“-ის დირექტორი გიორგი გელაშვილი

2. შპს „4ბროს“-ის მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე





ხარისხი ფასზე მალადია

შპს 4 ბროს

ზომითი კატეგორია	2016	2017	2018
• აქტივების ჯამური ღირებულება	1349729	1543987	1987969
• შემოსავალი	1234176	1458120	1789688
• დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	30	30	30

37





ხარისხი ფასზე მაღალია

შპს 4 ბროს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია შპს „4ბროს“-ს შესახებ

შპს „4ბროს“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად მენარმეთა და არასამენარმეთო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში 22.12.2014 თარიღში. იურიდიული მისამართი: გურჯაანის რაიონი, სოფ. ველისციხე, 1-ლი ქუჩა #27. ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, ლილოს დასახლება, ორახელაშვილის ქ.5
დამფუძნებელი: გიორგი გელაშვილი, პირადი #13001015382 100% წილის მმართველი.
ხელმძღვანელი: დირექტორი - გიორგი გელაშვილი პირადი #13001015382
შპს „4ბროს“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნაყინის წარმოება. კერძოდ კომპანია ახორციელებს სხვადასხვა სახის ნაყინის წარმოებას და ახდენს საცალოდ და საბითუმოდ რეალიზებას.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „4ბროს“-ს ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. შენიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე: -საქართველოს კანონი „მენარმეთა შესახებ“; -საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“; - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“;



ხარისხი ფასზე მაღალია

ფული და ფულის ომპონენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტები ფინანსურიაქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც ორგანიზაციის ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია დებიტორული დავალიანების, ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების და სხვა ვალდებულებების სახით, ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ბალანსში ასახავს მაშინ, როდესაც ორგანიზაცია გახდება ფინანსური ინსტრუმენტთან დაკავშირებული გარიგების მონაწილე. ფინანსური ინსტრუმენტის ან ფინანსური ინსტრუმენტის ნაწილის აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია კარგავს კონტრაქტით გათვალისწინებულ უფლებებს ან დაფარავს ინსტრუმენტთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას, სხვაობა მიღებულ ან მისაღებ შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღირიცხება.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც განეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის / მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

გადახდილი ავანსები



ხარისხი ფასზე მაღალია

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის / მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შეძენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საანცელარო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეუთვნება საოფისე ხარჯებს. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები შესყიდვისთანავე მიეუთვნება კომპიუტერის ხარჯებს.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

საგადასახადო ვალდებულებები



ხარისხი ფასზე მაღალია

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2018 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასახდელი დღე, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

შემოსავლის აღიარება

შემოსავლის ღირება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიურ სარგებელს;
- შესაძლებელია მუდმივ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;
- შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

- ხელმოწერა 1. შპს „ბროს“-ის დირექტორი გიორგი გელაშვილი
2. შპს „ბროს“-ის მთ. ბუღალტერი ვაჟა მაჩიტაძე

